გამძღვაროს ევროპის გამო-
ცდილება, და ამ თოფ-იარაღ-
ით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის
საქმეს. ამაზედ უკეთესს სა-
განს, ამაზედ უკეთესს გზას,
უკვე სხვაგან გამოცდილს და
გამოყენებულს, სხვას ვერას
ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო
ყმანვილ-კაცობას. ეს საგანი
და ეს გზა სახეში უნდა გვექონ-
დეს. სხვა საწყაო ტყუილია და
ამაო: სხვისი ზაძი იქნება და
არა ჩვენი თავის საჭიროება-
ზედ გამოჭირილი“.

მთავარი აზრი ნათელია, სა-
ქართველოსთვის მთავარი
მიზნის მიღწევის გზა „სხვისი
ზაძი“ კი არა, „ჩვენი თავის სა-
ჭიროებაზედ გამოჭირილი“,
ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნე-
ბული უნდა იყოს. ამის გარეშე
სხვისი გამოცდილების გად-
მოღება უშედეგო იქნება. ევ-
როპული ღირებულებები გა-
მოსაბავს ჩვენს სწრაფვას ყო-
ველი ადამიანის კეთილდღეო-
ბის უზრუნველყოფის მიზნით.
ეს ღირებულებები მიგვანიშ-
ნებს, როგორ მოვიგოვოთ სა-
ყოველთაო „აღვიწიება“, კეთილდღეობა,
ბედნიერება, სახელი და დიდება“. ვინაიდან
ჩვენ, ყველა ერთად და თითო-
ეული ცალ-ცალკე, ვაუყოფე-
ლი ნაწილი ვართ ერისა, თი-
თოეული ადამიანის ბედნიერე-
ბის მიღწევას უნდა ვეძებდეთ
„მთელის ერის კეთილდღეო-
ბაში და არა ცალკე“. მხოლოდ
ასე შეიძლება, ჩვენი ცხოვრე-
ბა წარმოადგენდეს ერთს დი-
დებულ დენას შეერთებულის
ძალისა“ და „სიკეთე ერთო-
ბისა და ყველასათვის სახეი-
როდ გაიმართლოს“.

**ეს პირადი
პროექტი**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ალვისილინი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ზორობით, ანგარიზითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შულლით, ვერაბობით, უზნეობითა და მახეზარობით. ცილისმნამებელი, ღვთის მოქალაქე, შეურაცხყოფელი, ამპარტავანი, მკვეხარი, ზორობამზარაველი, მშობლების ურჩნი.
(მოციქულ პავლეს წერილი რომელთა მიმართ, 1,29-30)

სამაგალითო სამხედრო პირი ევროპაში ახალგაზრდა კახის გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს

ლიეტუვას პოლიციამ დააკავეს სამხედრო პირი, რომელსაც ბრალი ედება 2000 წელს დაბადებული ახალგაზრდის გაუპატიურებაში.

ლიეტუვას არმიის წარმომადგენლის ინფორმაციით, არაფის არ ეგონა, რომ მას ასეთი უზნეობის ჩადენა შეეძლო.

ადგილობრივი ჟურნალისტები წერენ, რომ ინციდენტი 28 ივნისს ქალაქ გრიგოიკეში მოხდა. პოლიციამ, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილზე ჩავიდა, დააკავეს ორი ეჭვმიტანილი — 1999 და 1996 წლებში დაბადებულები.

ინფორმაცია, რომელიც მედიაში გამოქვეყნდა, ჯერჯერობით ოფიციალურად დადასტურებული არ არის. სამართალდაცველები აცხადებენ, რომ ასეთი სახის დანაშაულის კომენტარებზე პოლიცია თავს იკავებს: „გამოძიება დაწყებულია, დანაშაულებითი კომენტარები არ იქნება“, რადგან ეჭვმიტანილთა შორის არის სამხედრო მოსამსახურე.



ლიეტუვას არმიის წარმომადგენლებმა ჟურნალისტთა შეკითხვებს რომ უპასუხებდნენ, განმარტეს — მათ იციან, რაც მოხდა.

მათ, აგრეთვე, განაცხადეს, რომ ეჭვმიტანილთა შორის ერთი პროფესიონალი სამხედრო და, თუ სასამართლო მას დამნაშავედ მიიჩნევს, დაუყოვნებლივ დაითხოვენ არმიიდან, მანამდე კი იგი ლიეტუვის არმიის ირიცხება.

თავდაცვის უწყებაში დააზუსტეს, რომ პროკურორის ჯერჯერობით არ მიუშვრთავს სასამართლოსთვის მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე.



«ფორულა-1»-ის მკბოლელაბა არ დაიროქს

ნიდერლანდების სამეფოს «ფორულა-1»-ის ავტომრბოლელმა უარი თქვა დაბრუნებაზე სეზონის სტარტის წინ. მან განაცხადა, რომ ეს არ არის რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მისეული პროტესტის გამოხატვის ფორმა. შესაბამისი პოსტი მან «ტვიტერში» გამოაქვეყნა.

ფორულა-1-ის განაცხადა, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისი აზრის ისე გამოთქმის, როგორც მას მოსწონს.

«მე არ დავიროქებ, მაგრამ პატივს ვცემ და მხარს ვუჭერთ თითოეული პილოტის არჩევანს, — წერს ფერსტაპენი და

დასძენს, — მხარს ვუჭერთ თანასწორობას და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლას».


გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფერსტაპენი მარტო არ არის და «ფორულა-1»-ის სასტარტო ეტაპის კიდევ ხუთმა მონაწილემ უარი თქვა ამ აქციაში მონაწილეობაზე.

ესენი არიან: 2007 წლის ჩემპიონი **კიმი რაიკონენი**, «ფორარის» პილოტი **შარლ ლეკლერი**, «მაკლარენის» გუნდის წარმომადგენელი **პარკოს სინისი**, «ფორმულა-1»-ის ერთადერთი რუსი პილოტი **დანიელ კვიატტი** და იტალიელი **ანტონიო ფიცი-ნანტი**.

ნიდერლანდების სამეფო ამ საკითხის პირველი გზამკვლევი არ არის: ასეთ დოკუმენტებში სექსს არც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიუთითებენ. შეგახსენებთ, რომ ნიდერლანდებში შესამე სექსი 2018 წელს აღიარეს, მაშინ, როცა ინტერსექსუალებს

ნეოლიბერალური უნეობა

ერთი და იმავე სქესის პირთა ოჯახი სოცოხლეს კლავს



საერთაშორისო ინსტიტუტები აქტიურად უწევენ პროპაგანდას ერთი და იმავე სქესის პირთა ოჯახებს; ცდილობენ, დაარწმუნონ საზოგადოება, რომ ბავშვის აღზრდა შეიძლება ისეთ ოჯახებში, რომლებშიც დედ-მამის ნაცვლად არიან „მშობელი №1“ და „მშობელი №2“, რომ ტრადიციული ღირებულებები (ქმარი, ცოლი) წარმავალია და გაქრება.

ინტერნეტსივრცეში ქვეყნდება უამრავი რეალური ისტორია იმ ადამიანებისა, რომლებიც ჰომოსექსუალური ოჯახებში აღზარდნენ. ამ ხასიათის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ამბავი კანადელი ქალის მონათხრობია, რომელიც წინააღმდეგ გამოცემული — „დავასრულოთ წარსული: ჰომოსექსუალური ოჯახში აღზრდის შესახებ“.

კანადელი ქალის ნიუანსებს აკრიტიკებს — ოფიციალურმა ოჯახმა, ფაქტობრივად, გაანადგურა ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება იმით, რომ აკრძალა დედატყვი ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების (არაბუნებრივ ფასეულობათა საჯარო კრიტიკას შეიძლება კანონით გათვალისწინებული სასჯელი მოჰყვეს).

მწერალმა ქალმა, ჰომოსექსუალების მიერ აღზრდილ სხვა ადამიანებთან ერთად, არაერთხელ მიმართა სხვა-

დასხვა უწყებას, მათ შორის აშშ-ის უმაღლეს სასამართლოს, პატივისცემით მოპყრობა ადამიანების თხოვნას ქორწინების, როგორც ქალისა და კაცის ერთობის, აღიარების შესახებ, მაგრამ „ახალ“ რეალობაში სრულიად განსხვავებული ვითარება ჩამოყალიბდა: დასავლური ინსტიტუტები ახალგაზრდობას კვლავაც თავს ახვევენ ოჯახის ისეთ „ალტერნატიულ“ ვარიანტებს, როგორცაა ორი კაცის თუ ორი ქალის კავშირი.

ერთი და იმავე სქესის პირთა ოჯახების ბავშვები ხშირად მოვლენ თავიანთ უბედურებას და ისე უჭირავთ თავი, თითქოს არ ენატრებათ თავიანთი ბიოლოგიური მშობლები. სრულად ემორჩილებიან უფროსების გავლენას, რომლებიც აიძულებენ, არსებულ ოჯახზე მხოლოდ პოზიტიურად ილაპარაკონ, — დაარწმუნებულია სტეფანოვიჩი.

ერთი და იმავე სქესის პირთა ოჯახში დათრგუნული მწერალი ქალი აქტიურად იბრძვის ქორწინების ერთადერთი სწორი განსაზღვრის

დასაკანონებლად — ქორწინება არის ქალისა და კაცის კავშირი. სხვა დაზარალებულთან ერთად მხოლოდ ტრადიციული ოჯახისა და ბავშვებისთვის სრულფასოვანი ოჯახის შენარჩუნების უფლების დასაცავად იღვწის.

კანადაში მოქმედებს გენდერულ-ნეიტრალური ენა სქესისა და „დედისა“ და „მამის“ ცნებების მითითების გარეშე. ამ ენას აჩვენებენ ბავშვებს სკოლებში მშობლებთან შეუთანხმებლად.

„მუდმივად ჩაგვიჩინებენ, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინების კანონის ძალით დაცვა არავის უფლებებს არ დააზარალებს. ეს სიცრუა“, — ასე კენის სერაფიმოვიჩი.

სინამდვილეში ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების, როგორც დადებითი და „წორმალური“ მოვლენის, ტრადიციული კოლოსალურად აზიანებს ტრადიციულ ფასეულობებს. ასეთი ხასიათის პროპაგანდის მასშტაბი უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ გეოგრაფიის მონონების დაძალება დარტყმის ქვეშ აყენებს ბავშვების უფლებას, ჰყავდეთ ბიოლოგიური მშობლები.

ნიდერლანდების მოქალაქეთა პირადობის მონეობაში სქესს ალარ მიუთითებენ

გრაფა „სქესი“ 2024-2025 წლებში აღარ იარსებებს. ამის შესახებ არის ნათქვამი ნიდერლანდების სამეფოს ნიდერლანდების, კულტურისა და მეცნიერების მინისტრის, ინბრიდ მან ენგელსკოპ-ენის, ახლახან გაკეთებულ განცხადებაში. მთავრობას სურს, იქ, სადაც შესაძლებელია, უარი თქვას სქესის რეგისტრაციაზე».

ლაპარაკია მხოლოდ ქვეყ-

ნის საშინაო მოხმარების დოკუმენტებზე (სამოქალაქო პასპორტებზე). უცხოეთის პასპორტებში ამ გრაფას შეინარჩუნებენ, რადგან მას მოითხოვს ევროკავშირის შესაბამისი გადაწყვეტილება. ჯერჯერობით გაურკვეველია, ეს ცვლილება შეეხება მხოლოდ ახალ დოკუმენტებს თუ დღემდე გაცემულ პასპორტებსაც.

მინისტრმა განმარტა, რომ ამის სანაცვლოდ მოქალაქე-

ებმა უნდა „შექმნან თავიანთი საკუთარი იდენტურობა და იცხოვრონ სრულიად თავისუფლად და უსაფრთხოდ“.

ნიდერლანდების სამეფო ამ საკითხის პირველი გზამკვლევი არ არის: ასეთ დოკუმენტებში სექსს არც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიუთითებენ. შეგახსენებთ, რომ ნიდერლანდებში შესამე სექსი 2018 წელს აღიარეს, მაშინ, როცა ინტერსექსუალებს

უფლება დართეს, თავიანთ დაბადების მოწმობებში არ ჩაენერათ საკუთარი სქესი — ქალია თუ კაცი.

ცნობისთვის: ინტერსექსუალობა არის ტერმინი, რომელიც შემოიღო ბიოლოგმა **რიპარდ ბოლშიდტმა** ჯერ კიდევ XX საუკუნის გარიჟრაჟზე. ეს ტერმინი მიგვითითებს ორგანიზმის სექსუალურ განვითარებაში არსებულ დარღვევებზე. ინტერსექსუალი დღეს მიგ-



ვითითებს ადამიანზე, რომელსაც ქალის და კაცის სქესის ნიშნები ერთდროულად აქვს, რაც მის ამა თუ იმ სქესისთვის მიკუთვნებას ართულებს. გაერთიანებული სამეფოს პლანეტის მოსახლეობის 1,7 პროცენტი ინტერსექსუალია.



წინასწარი გათვლით კოსმონავტიკას ერთმანეთისთვის ხელი უნდა ჩამოერთმიათ მოსკოვის თავზე, მაგრამ რომელიღაც წვრილმანში შეცდენა და ეს სიმბოლური რიტუალი შედგა მაშინ, როცა შეპირაპირებულმა ხომალდებმა მდინარე ელბას გადაუფრინეს. 75 წლის წინათ ამერიკული ჯარები წითელი არმიის ნაწილებს შეხვდნენ — შეხვედრა ელბაზე! კოსმოსური შეხვედრაც ელბის თავზე, „მალა ცაში“ გაიმართა.

„მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიდიოდნენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ... გარშემო კი განოლილიყო უდაბნოს დიადი სივრცეები“.

ჩინგიზ აითმატოვი, „და საუკუნეზე მეტხანს გრძელდება დღე“

დიდმა მწერალმა ჩინგიზ აითმატოვმა სათაურად მსოფლიოში ცნობილი რომანისა „და საუკუნეზე მეტხანს გრძელდება დღე“ ბორის პასტერნაკის ლექსის — „ერთადერთი დღეების“ სტრიქონი გამოიტანა. დიდ შემოქმედთა პრაქტიკაში ასეთი რამ ხდება.

არც არავის უკვირს. მეც ნუ დამძრახავთ. მიწიერს. მით უფრო, რომ მოვლენა, რომლის ერთგვარ იუმბილზე გეტყვით ორიოდ სიტყვას, კოსმოსთან არის დაკავშირებული. ხოლო აითმატოვის რომანში მოთხრობილია სარი-ოზეკის უკიდურესობაში დაკარგული ყაზახური სოფლის — ყაზანგაბის — ამბავი, რომლის ოდინდელი, მაგრამ მიტოვებული სასაფლაოს ადგილას გაშენდა კოსმოდრომი ბაიკონური.

რკინიგზაზე მატარებლები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და პირუკუ მოძრაობენ, პარალელურად. თავიანთი გზით მიდიან. კოსმოსში კი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კოსმოსური ხომალდები ერთმანეთს შეუპირაპირდებიან. პირველად მსოფლიოში, ორი დაპირისპირებული ქვეყნის კოსმოსური ხომალდები.

ეს იყო 45 წლის წინათ, როცა საბჭოთა „სოიუზი“ და ამერიკული „აპოლონი“ ერთმანეთს შეუპირაპირდა — 1975 წლის 17 ივლისს.

საბჭოთა ხომალდმა, რომლის ბორტზე იყვნენ ალექსეი ლეონოვი და ვალერი კუპალსოვი, 1975 წლის 15 ივლისს, 15 საათსა და 20 წუთზე, სტარტი აიღო კოსმოდრომი ბაიკონურიდან. ზუსტად შეიღ-ნახევარი საათის შემდეგ კოსმოსისკენ დაიძრა ამერიკელების ხომალდი სამი ასტრონავტი — თომას სტაფორდით, დონალდ სლეიტონითა და ვენს ბრანდით.

შეპირაპირების შემდეგ პირველი, რაც საბჭოთა ეკიპაჟმა გაიგონა, თომას სტაფორდის ხმა იყო: ამერიკელი უბატაკებდა ფრენის მართვის თავს ცენტრს, რომ ყველაფერი შესანიშნავად დამთავრდა და მეტი დამაჯერებლობისთვის დაამატა რუსულად: „მი-აკი სტიკოვკა“ (мягкая стыковка — რბილად შეპირაპირდა).

ორივე ქვეყნის კოსმონავტიებმა მოსამზადებელ პერიოდში რუსული და ინგლისური ნორმალურ დონეზე შეისწავლეს, მაგრამ კურორტს ვერც ერთი მხარე ვერ ასცდა. სტაფორდის იალიშივე ეს-ესაა გითხარით. ალექსეი ლეონოვმა კი ნასას მიერ გაბართულ განაცხადზე ინგლისურად წარმოთქვა სადღებო კომპლექსი და დაასრულა ორიგინალური მოწოდება: „როგორც ფრენის დასრულება განხორციელდა, ამავე დროს უნდა იქნებოდეს „სუკსესფული“ და დამსწრეთა უსურვა მძიმე ფარმაკოლოგიური ცხოვრება: „I WISH YOU A SEX FULL LIFE!“

ჩვენც გავილით, რადგან მართლაც კარგი სახუმარო რეპლიკა იყო.

სხვაც იყო. ვალერი კუპალსოვი ისხენებს:

— სუვენირებისა და დროშების გაცვლის შემდეგ ორბიტაზე „საზეიმო სადილი“ გაიმართა, რომლისთვისაც ალექსეი ლეონოვი საგანგებოდ მოემზადა. თომას სტაფორდს შესთავაზა, რომ ეს ისტორიული მოვლენა რუსული ტრადიციისამებრ არყის დაღვრით აღენიშნათ. სტაფორდი შეიმუშა, მაგრამ თქვა, რომ, რადგან ტრადიცია მოითხოვს, უნდა შესრულდეს კიდევოლეონოვმა მიანოდა რუსული „ბორშის“ „ტიუბიკი“ (კბლის პასტის რომ არის, დაახლოებით ისეთი: ორბიტაზე კოსმონავტიებისთვის განკუთვნილი კერძები საერთოდ ასეთ „ტიუბიკებშია“ ჩატუმბული), რომელსაც „ბორშის“ ნაცვლად წინასწარ მიაკრა რუსული არყის ეტიკეტი — „ვოდკა“.

სტაფორდმა „გადაჰკრა“ და... ჰომერულმა ხარხარმა გააყრუა კოსმოსური ხომალდის ჩაკეტილი სივრცე.

ასეთი „ტიუბიკები“ კოსმონავტთა ქალაქ ზვიგოდნოში სტუმრობისას მაჩუქა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა კოსმონავტმა ნიკოლაი რუკავინიკოვმა. გაეხილით. გემრიელი იყო კოსმოსური „ბორშის“.

ახლა კი სერიოზულად. წინასწარი გათვლით კოსმონავტებს ერთმანეთისთვის ხელი უნდა ჩამოერთმიათ მოსკოვის თავზე, მაგრამ რომელიღაც წვრილმანში შეცდენა და ეს სიმბოლური რიტუალი შედგა მაშინ, როცა შეპირაპირებულმა ხომალდებმა მდინარე ელბას გადაუფრინეს. 75 წლის წინათ ამერიკული ჯარები წითელი არმიის ნაწილებს შეხვდნენ — შეხვედრა ელბაზე! კოსმოსური შეხვედრაც ელბის თავზე, „მალა ცაში“ გაიმართა.

ისტორიული მოვლენა, რომელიც დღესაც ახსოვთ, XXI საუკუნეში. თავისებური სიმბოლო იდებოდა დაპირისპირებული ზესახელმწიფოების თანხარსებობისა და თანამშრომლობის.

ასეთია ისტორიის ერთი თვალსაჩინო გაკვეთილი...

75 წლის წინათ, 1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე პოტსდამში გაიმართა „დიდი სამეულის“ შესამე და უკანასკნელი კონფერენცია, რომელიც ჩატარდა პიტლერულ გერმანიის გამარჯვების შემდეგ. ამ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ სტალინი, აშშ-ის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი უინსტონ ჩერჩილი, 25 ივლისიდან კი — კლემენტ გეტლი.

პოტსდამის კონფერენცია დაადგინა ომისშემდგომი საზღვრები და დაამტკიცა საერ-

როსა დღეები საუკუნეზე მეტხანს გრძელდება



ჩერჩილი, ტრუმენი და სტალინი პოტსდამის კონფერენციაზე, 1945 წ.

პოტსდამის კონფერენციის მთავარი მიღწევა არის ის, რომ შეიქმნა იალტა-პოტსდამის ომისშემდგომი მსოფლიოს სისტემა

თაშორისო უსაფრთხოების სისტემა.

ამ დღესაც, ანუ 2020 წლის 17 ივლისს, როგორც 75 წლის წინათ, ცეცხლენარსის სასახლის ფასადზე გამოფინეს გამარჯვებული ქვეყნების — საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის დროშები. გამარჯვებული სახელმწიფოების ლიდერებს თავდაპირველად განზრახული ჰქონდათ კონფერენციის ბერლინში გადართვა, მაგრამ გერმანიის დედაქალაქი ნანგრევებად იყო ქცეული.

კონფერენციაზე განხილული პრობლემების შესახებ სიტყვას არ გაგიგრძელებთ, გეტყვით მხოლოდ, რომ ყველაზე მწვავე საკითხი პოლონეთის დასავლეთის საზღვრების დადგენას შეეხებოდა. სტალინს პოლონეთისთვის რუსულენოვანი უმდიდრესი გერმანული მიწების გადაცემა სურდა. ბრიტანეთს და აშშ-ს კი ეპირაკლავი კატამორიულად არ ეთანხმებოდნენ, მიიჩნეოდნენ, რომ პოლონელს უფლება არ ჰქონდათ, დაეპატრონებინათ, ახლა უეჭველად მოდრეკენ „ძია ჯოს“, როგორც მოიხსენიებდნენ სტალინს ზურგასუკან.

24 ივლისს, სხდომებს შორის შესვენებისას, ტრუმენი, ისე — სხვათა შორის, ეტყვის სტალინს ატომური ბომბის წარმატებით გამოცდის ამბ-

თი უაღრესად დავალებულია საბჭოთა კავშირის წინაშე, რადგან ქვეყნის ტერიტორია თანამედროვე საზღვრებში მისი არასრულად აღდგენილი ტერიტორიის მისამართულ სტალინმა ტრუმენსა და ჩერჩილს პოლონელაბისთვის გამოვლიანა.

დღეს რუსეთს პოლონეთზე დიდი მტერი ევროპაში არ ჰყავს. პოლონელების მხრიდან ეს უმადურობის არნახული გამოვლენაა. როგორ ინსტრუქციასაც გამოუგზავნიან აშშ-დან, იმის შესასრულებლად იღვნიან საბჭოთა კავშირის მიერ „დაჩაგრული“ პოლონელები, დემოკრატიული დასავლეთის „ავანგარდი“ აღმოსავლეთის ფრონტზე...

კონფერენციის დაწყებამდე ერთი დღით ადრე აშშ-ის პრეზიდენტს შეატყობინეს, რომ ნიუ მექსიკოს შტატის პოლიგონზე წარმატებით გამოსცადეს ატომური ბომბი.

დასავლეთის ლიდერები — ტრუმენი და ჩერჩილი აღიესენ უპირატესობის განცდით: ახლა უეჭველად მოდრეკენ „ძია ჯოს“, როგორც მოიხსენიებდნენ სტალინს ზურგასუკან.

24 ივლისს, სხდომებს შორის შესვენებისას, ტრუმენი, ისე — სხვათა შორის, ეტყვის სტალინს ატომური ბომბის წარმატებით გამოცდის ამბ-

ისტ დაგნაგავითა გასამართლებათა, რეპარაცი-ეზზე, კანისგარბისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების საბჭოთა კავშირისთვის გადაცემაზე.

პოტსდამის კონფერენციის მთავარი მიღწევა არის ის, რომ შეიქმნა იალტა-პოტსდამის ომისშემდგომი მსოფლიოს სისტემა.

მაგრამ იყო ისეთი საკითხებიც, რომლებზეც ვერ შეთანხმდნენ; მაგალითად, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზის შექმნის საკითხზე შავი ზღვის სრუტეებში.

თუმცა ასეთ ცალკეულ შემთხვევებს მონაწილეთა გუნება-განწყობილებაზე გავლენა არ მოუხდენია.

ერთ-ერთ ფოტოსესიაზე ჩერჩილმა იძალა და ტრუმენს მარჯვენა მხრიდან მიუჯდა. დაე, ნახონ, რომ ჩვენ — ინგლისელები და ამერიკელები — ერთად ვართო. ტრუმენმა, რომელსაც ჩერჩილის ასეთი გულმოდგინება არ მოეწონა, თავისი სავარძელი სტალინისკენ მისწია.

სტალინი კი ჩერჩილს უკირკიტებს. როცა სიტყვა იტალიის კოლონიებზე ჩამოვარდება, შეეცითხა კოლეგას:

„იტილიამ თუ დაკარგა ისინი (კოლონიები), მაშ, ვინ იპოვნა?“

— დიდი დანაკარგების ფასად და განსაკუთრებული გამარჯვებით ბრიტანულმა არმიამ მარტომ დაიპყრო ეს კოლონიები, — უპასუხებს ჩერჩილი.

— ბერლინი კი წითელმა არმიამ აიღო, — მოუჭრის სტალინი. — ამ ეპიზოდს სტენოგრამაში მიწერილი აქვს: „სიცილი“.

ამ ერთი დღის — 17 ივლისის ნიშანი გაჰყვა XX საუკუნეს და XXI-შიც გაგრძელდა: საუკუნეზე მეტ ხანს, თუმცა ის დღეები (1945 წლის და 1975 წლის) ერთმანეთს 30 წლით იყო დაცილებული.

დასასრულ: ყოველთვის არ მართლდება ანდაზა — „იცი-ნის ის, ვინც ბოლოს იცინის“. 18 ივლისს, დილით, საფრანგეთის ნანტიში ჩაიფრულა პეტრე-პავლეს ტაძარი. ამ უნიკალური ისტორიული ძეგლის რელიეფები შეინარა ხანძარმა, რომლის შესახებ მეცანძრეებს შემთხვევითმა გამე-ლელმა აცნობა.

დინვა ტაძრის დიდი ორგანი და XV საუკუნის ფასდაუდებელი ვიტრუფები.

ამ ტაძრის ივარქმნას პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის შარშანდელ ხანძარს ადარებენ, რომელიც ავის მომასწავებელ ნიშნად აღიქვა მორწმუნე საზოგადოებამ.

და მსოფლიოს შემოუტია კოვიდ-19-ის პანდემიამ.

რა უბედურება დაგვატყდებოდა ამჯერად? რაზე მიგვანინებს ნანტის ტაძრის ხანძარი? არაჰა სანაბლიკა

ბაჰამის კუნძულები შესანიშნავი ადგილია ტურისტებისთვის. არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე კი ტურისტებს ელით დაუვინყარი შთაბეჭდილებები. ეს ადგილია პლაჟი ვარდისფერი ქვიშით. ვარდისფერი პლაჟი კუნძულ ჰარბორის სანაპიროს 5 კმ-ზეა გადაჭიმული. ამ უჩვეულო ფერს პლაჟს აძლევს მოლუსკების ნიჟარები და მარჯნის ნარჩენები, რომლებიც ქვიშაშია არეული.

გაეცანით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე საოცარ პლაჟებს. მათგან ზოგიერთი ადამიანის მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა, ზოგს კი შეიძლება ბუნების სასწაულო ვუნდოთ.



1. პლაჟი ბენაგილი, პორტუგალია

პლაჟი ბენაგილი პორტუგალიის სამხრეთში, კურორტ ალგარვესთან ახლოს მდებარეობს. იქ ჩადიან მსოფლიოს ყველა ქვეყნის ფოტოგრაფები, რომანტიკოსები, შეყვარებულები, რათა დატკბნენ გამოქვაბულ ალგარვეს ფანტასტიკური სილამაზით. იქ მხოლოდ ზღვით შეიძლება მოხვედრა. გამოქვაბულს აქვს თაღოვანი შესასვლელი, რომლის გუმბათშიც არის დიდი ნახვრეტი. ამ ნახვრეტიდან შემოჭრილი მზის სხივები პლაჟს ანათებს და უნიკალურ ატმოსფეროს ქმნის.



2. ღაბაღული პლაჟი, მექსიკა

მექსიკის სანაპიროდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ კუნძულ მარიეტას დამალულ პლაჟს ღაბაღის ერთ-ერთ თვალწარმტაც ადგილად მიიჩნევენ.

1900-იანი წლების დასაწყისში მექსიკის მთავრობა კუნძულს სამხედრო ექსპერიმენტებისთვის იყენებდა. სულ რამდენიმე წელია, ამ კუნძულს არსებობა შეიტყვეს ტურისტებმა, რომლებმაც იქ აღმოაჩინეს შესანიშნავი პლაჟი, გარემორტყმული კლდოვანი ნარმონაქმნებით. იქ მოსახვედრად მოკლე გვირაბის გავლაა საჭირო.

სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული ფოტოების მეშვეობით ამ პლაჟის შესახებ მსოფლიომ შეიტყო, თავიანთი მცდელობებით კი მას ახალი რომანტიკული სახელი დაარქვეს — Playa De Amor-ი, ანუ სიყვარულის პლაჟი.



3. ვარდისფერი პლაჟი, ბაჰამის კუნძულები

ბაჰამის კუნძულები შესანიშნავი ადგილია ტურისტებისთვის. არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე კი ტურისტებს ელით დაუვინყარი შთაბეჭდილებები. ეს ადგილია პლაჟი ვარდისფერი ქვიშით. ვარდისფერი პლაჟი კუნძულ ჰარბორის სანაპიროს 5 კმ-ზეა გადაჭიმული. ამ უჩვეულო ფერს პლაჟს აძლევს მოლუსკების ნიჟარები და მარჯნის ნარჩენები, რომლებიც ქვიშაშია არეული. პლაჟის გასწვრივ გრანდიოზული შენობების აგება აკრძალულია, პეიზაჟს მხოლოდ მაღალი პალმები და დამსვენებელთა შეზღონებები ამშვენებს. ჟურნალმა „ფორბსმა“ ამ ადგილს მსოფლიოში ყველაზე ლამაზი პლაჟის ტიტული მიაკუთვნა.

10 ყველაზე საოცარი პლაჟი მსოფლიოში



4. შინის პლაჟი, კალიფორნია

კალიფორნიის სანაპიროს ერთ-ერთ პლაჟზე, ფორტ-ბრეგის რაიონში დიდი ხნის წინათ იყო საყოფაცხოვრებო ნარჩენების, მინისა და დამტვრეული ავტომობილების ნაგავსაყრელი. დროთა განმავლობაში ნაგვის ნაწილი აიღეს, ნაწილი დაწვეს, ბოთლებისა და მინის ნამსხვრევები კი დარჩა. წყნარმა ოკეანემ წლების განმავლობაში მათი ბასრი კუთხეები დააბლაგვა და პლაჟზე შინის ნამსხვრევებმა, რომლებიც ძვირფას ქვებს დაემსგავსა, ნაირფერად დაიწყო ზონივა.



5. ტაქაის პლაჟი, ესპანეთი

პლაჟი Praia das Catedrais-ი ქალაქ რიბადოსთან (ლუგოს პროვინცია, გალისია) მდებარეობს. მისი უჩვეულო დასახელება მომდინარეობს კლდოვანი ნარმონაქმნებისგან, რომლებიც ძალიან ჰგავს გოთიკური ტაძრების გუმბათებს. ოკეანის უკუქცევის მომენტში შეძლებთ დიდებულ კლდოვან დერეფანში ხეტიალს და იმ გამოქვაბულების დათვალიერებას, რომლებსაც მოქცევისას წყალი ფარავს.



6. პლაჟი კოკოკე, ახალი ზელანდია

კოკოკეს — ახალზელანდიური პლაჟის მთავარი ღირსშესანიშნაობა უზარმაზარი მრგვალი ფორმის ლოდებია. მეცნიერთა აზრით, ეს ლოდები სანაპირო ზოლის დაახლოებით 60 მლნ წლის წინათ დაწყებული ეროზიის შედეგად წარმოიქმნა. ზოგიერთი ფანტაზიური კი მიიჩნევენ, რომ ეს დინოზავრების გაქვავებული კვერცხებია.



7. შავი პლაჟი პუნალუ, კაპაი

ეს პლაჟი, რომელიც შავის ეროვნულ პარკსა და პატარა ქალაქ ნალეპუს შორის მდებარეობს, მსოფლიოში ყველაზე შავ პლაჟად ითვლება. ვულკანური მასისგან, ბაზალტისგან შექმნილი ადგილი შემოსაზღვრულია ქოქოსის პალმებით. პუნალუ-დან ქვიშის სუფენირად ნალევა აკრძალულია.



8. ატოლი ვაადუ, მალდივის კუნძულები

ამ პლაჟზე ყოფნისას ადამიანს ეჩვენება, რომ თითქოს არ არსებობს ზღვარი ცასა და ზღვას შორის. მზის ჩასვლის შემდეგ მირიადი პანანინა ვარსკვლავი ინთება სანაპირო ზოლის წყლის ზედაპირზე — ეს არის ბიოლუმინესცენცია — ძალიან ლამაზი მოვლენა, როცა ცოცხალი მიკროორგანიზმები (ფიტოპლანქტონები) რეაგირებენ ჟანგბადზე და თავიანთ ენერჯიას მსუბუქ სინათლედ გარდაქმნიან.



9. ნიჟარების პლაჟი, ავსტრალია

ნახევარკუნძულ პერონის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ეს პლაჟი 60 კმ-ის სიგრძისაა. ის ქვიშის ნაცვლად ტრილიონობით თეთრი ნიჟარითაა დაფარული — პანანინა მოლუსკების — Fragum Erugatum-ების გარსით. ყურეში წყალი ძალიან მარილიანია და ამიტომ სხვა ორგანიზმებმა ვერ გაიხარეს, სამაგიეროდ მოლუსკები გამრავლდნენ.

10. პლაჟი მავო, სან-მარტინი

კარიბის ზღვის კუნძულ სენ-მარტინზე ჩასულ ტურისტებს საოცარი სანახაობა ელით: აქ თვითმფრინავები პირდაპირ დამსვენებლების თავზე ფრენენ. საქმე ის არის, რომ საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ბოლო მაჰოსთან მთავრდება.



„თამაშის შემდეგ ეჭვი არ გვიპარაბოდა, რომ ისევე მოგვექცეოდნენ, როგორც 1952 წელს სსრკ-ის ფეხბურთელთა ნაკრებს, როცა იუგოსლავილებთან ნაგაბის შემდეგ ნაკრების საბაზო გუნდი ცდსა მთლიანად დაშალეს, ფეხბურთელებს კი სპორტული წოდებები ჩამოართვეს. თუმცა სსრკ-ის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ წყალბურთელები სასჯელისგან გვიხსნა, უფრო მეტიც — განაცხადა, რომ საბჭოთა ნაკრების ბიჭებმა უნებურად გამოხდომას საკადრისი პასუხი გაცეს, „განსაკუთრებით იყოჩაღა ზორბა ქართველმა“.

რამდენიმე დღის წინათ ინტერნეტის ჰიტად იქცა ლეგენდარული ქართველი წყალბურთელის — პეტრე მშვენიერაძისა და მისი ქვილიშვილის ფოტო. სურათმა, რომელიც სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გამოაქვეყნა მომხმარებელმა Only in Russia-მ, ათასობით უცხოელის მონონება და ორიგინალური კომენტარი დაიმსახურა.

შავ-თეთრ ფოტოზე საცურაო ტრუსსა და ქუდში გამოსახულია ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, სსრკ-ის 10-გზის ჩემპიონი პეტრე მშვენიერაძე. მას მუხლზე უზის შვილიშვილი, რომელიც ცოტა დამფრთხალი ჩანს ფოტორეპორტიორების კამერების წინ. სოციალური ქსელის მომხმარებლები განაცვიფრა სპორტსმენის სხეულის გაბართვებმა (პეტრე მშვენიერაძის სიმაღლე 198 სმ იყო, წონა — 92 კგ), ის ბევრმა შეაფარა თოვლის კაცს — იეტს და ნერდენს კიდევც, რომ ეს ფოტო იეტის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტია. ერთმა წყალბურთელის შვილიშვილზე გაამახვილა ყურადღება: „ასეთი ბაბუის წინაშე ვერ იცლებებ“.

ერთ-ერთი მომხმარებლის კომენტარი კი ასეთია: „როცა თამაშის შედეგი მის დაწყებამდე ცნობილია“, „საბჭოთა კავშირში დობინგს არ იღებდნენ“.

აღსანიშნავია, რომ ამ ფოტომ 2017 წელსაც გამოიწვია ფურორი, როცა ინტერნეტგამოცემა Sports.ru-მ გამოაქვეყნა „ფეისბუქში“.

რით არის ცნობილი პეტრე მშვენიერაძე?

პეტრე მშვენიერაძე 1929 წლის 24 მარტს დაიბადა თბილისში. გატაცებული იყო ფრენბურთით, კალათბურთითა და ფეხბურთით. 14 წლისამ ვარჯიში დაიწყო ცურვაში, 1944 წელს კი მოიპოვა სსრკ-ის ჩემპიონობა 100 და 200 მ-ზე ბრასით ცურვაში.

1946 წლიდან დაიწყო წყალბურთის თამაში. თავდაპირველად იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას, 1952-1963

წლებში გამოდიოდა მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების (BBC), მოსკოვის სამხედრო ოლქისა (MBO) და მოსკოვის „დინამოს“ მაისურებით. ათჯერ მოიპოვა სსრკ-ის ჩემპიონის ტიტული (1952, 1955-1964).

პეტრე მშვენიერაძემ სსრკ-ის ნაკრებში პირველად 1949 წელს ითამაშა. იყო მთავარი მონაწილე ცნობილი სისხლიანი მატჩისა სსრკ-უნგრეთი, რომელიც 1956 წელს ჩატარდებოდა მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე და რომელსაც უფრანოსისტებმა „სისხლი აუზში“ უწოდეს. ეს მატჩი სსრკ-ის მიერ უნგრეთში აჯანყების ჩახშობიდან რამდენიმე დღეში გაიმართა და თამაშის წინ ვითარება ძალიან დაძაბული იყო. შეხვედრა უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობდა — ორმხრივი ჯარიმებითა და დამრტყმებით. უნგრელები იგებდნენ, ამ მომენტში სსრკ-ის ნაკრების წევრმა **მლადიმარ პროკოპოვიჩმა** მუშტის დარტყმით წარბი გაუხეთქა უნგრელ **პრეზიდენტს**, შედეგად უნგრელმა წყალბურთელმა უამრავი სისხლი დაღვარა. ატყდა ჩხუბი წყალბურთელებს შორის. მატჩი შეწყდა და საბჭოთა კავშირის ნაკრებს დამარცხება ჩაეთვალა.

აი როგორ იხსენებს ამ მატჩს პეტრე მშვენიერაძე, რომელსაც უნგრელებმა ცხვირი გაუტყვეს: „**თამაშის შემდეგ ეჭვი არ გვიპარაბოდა, რომ ისევე მოგვექცეოდნენ, როგორც 1952 წელს სსრკ-ის ფეხბურთელთა ნაკრებს, როცა იუგოსლავილებთან ნაგაბის შემდეგ ნაკრების საბაზო გუნდი ცდსა მთლიანად დაშალეს, ფეხბურთელებს კი**

პეტრე მშვენიერაძე — წყალბურთის ლეგენდა

ქართველი ბიგანტისა და მისი შვილიშვილის ფოტოს უაროკი სოციალურ ქსელში



Only In Russia @CrazyinRussia Petre Mshvenieradze, Olympic Soviet water polo player, with his grandson 1950

რე მშვენიერაძეს საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს. სწორედ იმხანად შეარქვეს მას მეფე პეტრე.


1960 წლის რომის ოლიმპიადაზე პეტრე მშვენიერაძემ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, 1962 წელს კი — ევროპის ჩემპიონატის.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ პეტრე მშვენიერაძე გახდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი და მუშაობა დაიწყო სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრებში, სადაც 2002 წლამდე კითხულობდა ლექციებს სისხლის სამართლის საკითხებზე.

2002 წლის დეკემბერში პეტრე მშვენიერაძეს მწვავე ლეიკოზი დაუდგინეს. ის 2002 წლის 3 ივნისს მოსკოვის ჰემატოლოგიის ინსტიტუტში გარდაიცვალა.

პეტრე მშვენიერაძე დაქორწინებული იყო ნათელა გოგუაზე. მათ ჰყავთ 2 ვაჟი — ნუგზარი და გიორგი — ორივე მშვენიერი წყალბურთელი იყო, ორივე — სსრკ-ის ნაკრების წევრი. ნუგზარი 1973 წლის მსოფლიო და 1974 წლის ევროპის ვერცხლის პრიზიორია და სსრკ-ის 4-გზის ჩემპიონი; გიორგი მშვენიერაძე 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია, 1988 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი და 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი.

შოაშადა ნიკა კორინთელა



გიორგი და ნუგზარ მშვენიერაძეები

სპორტული წოდებები ჩამოართვეს. თუმცა სსრკ-ის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ წყალბურთელები სასჯელისგან გვიხსნა, უფრო მეტიც — განაცხადა, რომ საბ-

ჭოთა ნაკრების ბიჭებმა უნებურად გამოხდომას საკადრისი პასუხი გაცეს, „განსაკუთრებით იყოჩაღა ზორბა ქართველმა“.



პოლონეთში აშშ-ის ელჩის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას მოითხოვენ. ქართველებს პოლონელებზე ბევრი გვიკლია

«ისა იქვავა, თითქოს პოლონეთის გუბერნატორი იყოს»

პოლონეთის პარლამენტის დეპუტატებმა ევროსკეპტიკოსებისა და ნაციონალისტების გაერთიანება «კონფედერაციიდან» მოითხოვეს, პერსონა ნონ გრატად გამოცხადდეს აშშ-ის ელჩი პოლონეთში — ჯორჯიეტ მოსბახერი.

«დადგა დრო, იტყვას, რომ მისის მოსახერი პერსონა ნონ გრატა პოლონეთში. ჩვენ მოვუწოდებთ მთავრობას, მწვავე რეაქცია იქონიოს ამ საკითხზე. მთავრობამ უნდა შეწყვიტოს ისეთი გამოცემების მიღება, თითქოს ელჩი ისე არ იქცევა, როგორც პოლონეთის გუბერნატორი», — გან-



ჯორჯიეტ მოსბახერი

აცხადა სეიმის (პარლამენტის ქვედა პალატა) დეპუტატმა რობერტ ვინციკიმ 15 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე.

ვინციკიმ აღნიშნა, რომ, «კონფედერაციის» აზრით, «აშშ-ის ელჩი ერევა პოლონეთის საშინაო საქმეებში და არ ერიდება ქვეყნის ხელისუფლების გაკრიტიკებას».

ამას გარდა, დეპუტატმა მიუთითა «პოლონეთის ხელისუფლების ურეაქციოებაზე ელჩის გამოხატულებების მიმართ. «ის იცავდა Uber-ს ინფრასტრუქტურის საინისტრუქტორს მიერ მომზადებული ცვლილებებისგან, აკრიტიკებდა ხელისუფლების გადაწყვეტილებას, დაენესებინა გადასახადი ციფრულ მომსახურებაზე, რომელიც შეეხებოდა ამერიკულ კომპორატებს, აზრს გამოთქვამდა 5G ტექნოლოგიის დანერგვაზე აშშ-ის ინტერესების შესაბამისად», — განაცხადა დეპუტატმა, რომელიც ამტკიცებს, რომ აშშ-ის ელჩის ქმედება ეწინააღმდეგება უენევის კონვენციას.

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა

«დადგა დრო, იტყვას, რომ მისის მოსახერი პერსონა ნონ გრატად გამოცხადდეს აშშ-ის ელჩი პოლონეთში. ქართველებს პოლონელებზე ბევრი გვიკლია»

ჩინეთში მოიხატა აშშ-ის ელჩის ნაპრობითი გამოცხადება

ჩინეთში 10 პროცენტით მოიმატა იმ მოქალაქეთა რაოდენობამ, რომლებიც უკმაყოფილონი არიან თავიანთი ქვეყნის ევროკავშირის წევრობის გამო. ამას მოწმობს სააგენტო STEM-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.



იქ თავისი პოზიცია გამოკითხულთა ნახევარზე მეტი წინააღმდეგია ევროკავშირის უფლებების გაფართოების კოვიდ-19-ის მსგავს საგანგებო ვითარებაში.

ამას გარდა, გამოკითხვის მონაცემების თანახმად, მოი-

საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ, როგორც არის ნათქვამი, აგრეთვე, საშინაო მეურნეობების უსაფრთხოების ინდექსი», — განაცხადა STEM-ის ანალიტიკოსმა ნიკოლა ბორჟეიმ და დასძინა, რომ წარსულში ჩინეთის ნდობა ევროკავშირისადმი ყველაზე მეტად შემცირებული იყო 2009-2012 წლების ეკონომიკური კრიზისის პერიოდში.

შეგახსენებთ, რომ ჩინეთმა ევროკავშირის წევრობა 2004 წელს მოიპოვა. ამასთანავე, ქვეყანა 1999 წლიდან არის ნატოს წევრი. ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩინეთის მხარდაჭერა ევროკავშირში ჩინეთის წევრობის მიმართ თანდათან შემცირდა.

eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა

«შეახიჩა დრო ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების მიხედვით, როგორც არის ნათქვამი, აგრეთვე, საშინაო მეურნეობების უსაფრთხოების ინდექსი», — განახსნა STEM-ის ანალიტიკოსმა ნიკოლა ბორჟეიმ და დასძინა, რომ წარსულში ჩინეთის ნდობა ევროკავშირისადმი ყველაზე მეტად შემცირებული იყო 2009-2012 წლების ეკონომიკური კრიზისის პერიოდში»

www.geworld.ge

საქართველო

ესტუბრით ჩვენს სანტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეჯია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ექიანებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru



ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჩჰენ ქეზუანი

ჩინეთი: ჩვენ სისტად ვუასუსებთ აშშ-ის კავშირის ნებისმიერ გამოვლენას

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ ჰონკონგში შექმნილი ვითარების გამო ჩინეთისთვის სანქციების დაწესების შესახებ კანონპროექტზე ხელმოწერის შემდეგ ოფიციალური პეკინის რეაქციამ არ დააყოვნა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჩჰენ ქეზუანმა მკაცრად მიმართა აშშ-ის ელჩს ჩინეთში — ტერი ბრენდსტედს:

«მინდა, პირდაპირ განვუცხადო ამერიკის მხარეს: ჩვენ ხისტად ვუპასუხებთ აშშ-ის ჰეგემონიის ნებისმიერ გამოვლენას და უსამართლო გამოხატულებებს ჩინეთის მიმართ, — თქვა ჩჰენ ქეზუანმა. — ვაშინგტონის «დიდი გვემები», მიმართული ჩინეთის ქვეყნის განვითარების დასამუხრუჭებლად, კრახისთვისაა განწინრული. გირჩევთ, დაუყოვნებლივ შეიტანოთ კორექტივები მიღებულ გადაწყვეტილებებში, შეწყვიტოთ ცილისწამება ჩინეთის მიმართ და უარი თქვათ პროვოკაციებზე».

ნიფო უშიშროების ორგანოები ამ რეგიონში, რომლებზეც არ ვრცელდება ჰონკონგის ადმინისტრაციის იურისდიქცია. ეს ინიციატივა თეთრმა სახლმა «ავტონომიის დარღვევად» შეაფასა.

ამის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ხელი მოაწერა კანონპროექტს ჩინეთისთვის სანქციების დაწესების შესახებ ჰონკონგში შექმნილი ვითარების გამო. მან, აგრეთვე, გამოსცა ბრძანებულება ამ სპეციალური ადმინისტრაციული რაიონისთვის საგარეო-ეკონომიკური პრეფერენციების გაუქმებაზე. ამით ჰონკონგმა დაკარგა პრივილეგიური სტატუსი აშშ-თან საქმიან ურთიერთობებში.

eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა



საქართველო

თუ გსურთ, გაზეთი «საქართველო» და მსოფლიო მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

«ელვა.ჯი» — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
«მატეა» — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

